



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლესთაგი

ლესთაგი, ყოფ. სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში. ლ-ში მდებარეობს XIV-XV სს. ძეგლი – ლესთაგის ღვთისმშობლის ეკლესია. ეკლესიის XV ს. მოხატულობა, რ-საც ისტ. მნიშვნელობა აქვს, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. საკურთხევლის მეორე რეგისტრი ეთმობა ჩვილუდი ღვთისმშობლის გამოსახულებას. დარბაზის მოხატულობიდან დღემდე მოღწეულია მხოლოდ ქვედა რეგისტრი, სადაც წარმოდგენილია ისტ. პირთა მთელი გალერეა.
